ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№118 (6344) 2 ოქტომბერი 1990 წელი სამშაბათი ფასი 3 კაპიკი

დაირეკა პირველი ზარი

გუშინ, პირველ ოქტომბერს მოსწავლე-ახალგაზრდების ჟრიამულმა მოიცვა ჩვენი ქალაქის ქუჩები, სოფლის შარა-გზები. რაიონის სკოლებში ახალი სასწავლო წლის დაწყების მაუწყებელი ზარი აწკრიალდა, ხანგრძლივი საზაფხულო არდადეგების შემდეგ მერხებს მიუსხდნენ ჯან-ღონით სავსე გოგო ბიჭები.

ყოველი სასწავლო წელი სიახლეებითაა აღსავსე, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო სახალხო განათლების სისტემაში, არამედ მთელი საზოგადოების ცხოვრებაში. წლევანდელი სასწავლო წლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში ბევრი სიახლეა— ბუნებრივია, განათლების მთელ სისტემაში, უწყვეტი განათლების ყველა საფეხურზე თანდათანობით უნდა შეიცვალოს სტერეოტიპები, უნდა დაინერგოს თვისებრივი სიახლეები როგორც სწავლების შინაარსში, ისე სწავლების ორგანიზაციაში, სიახლეები, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოს ეროვნული განვითარების თავისებურებებს.

ეროვნული სკოლის კონცეფცია, რომელიც კონკურსისა და საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგად იქნა მიღებული, სწავლების მთელი შინაარსის გარდაქმნის ძირითად არსებით, გადამწყვეტ მომენტად მიიჩნევს სწავლების ჰუმანიზაციას, რაც საშუალებას იძლევა ახალგაზრდობას შეუმუშაოს მოღვაწეობის ძირითადი ორიენტირი—მსოფლმხედველობა. ახალ კონცეფციას წითელ ზოლად გასდევს ლაიტმოტივი—სწავლების ჰუმანიზაციის პირობებში ყველაზე უკეთ წყდება ეროვნული სკოლის, სტატუსისა და სოციალურ-კულტურული მნიშვნელობის საკითხები, რასაც მოითხოვს ეროვნული განვითარების კონცეფცია.

ახალ სასწავლო წელს საგრძნობლად შეიცვალა დიფერენცირებული სწავლების სასწავლო გეგმები პროფილების მიხედვით. სასარგებლოა და გონივრული, რომ მოსწავლეთა მიდრეკილებების და სურვილების მეტად დაკმაყოფილების საჭიროება დაედო საფუძვლად და საათების რაოდენობა არაპროფილებელ საგნებში საგრძნობლად შემცირდა ან მთლიანად იქნა საგანი ამოღებული.

სასწავლო სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვა მთელი ერის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა. ყველა, მთელი საზოგადოება იმედით შეჰყურებს ახალ სასწავლო წელს. თვალნათლივ ჩანს, რომ ბევრი სიახლეა დანერგილი, ბევრი პრობლემაა დასმული. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია სახალხო განათლების მუშაკთა პროფესიულ საქმიანობაზე, რომლებმაც ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ განათლების მთელი სისტემა უპასუხებდეს დროის მოთხოვნებს, გარდაქმნის მიერ დაყენებულ ამოცანებს, რადგან ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური ძლიერებისათვის უპირველესად საჭიროა განათლებული, ხალხის საქმისთვის ერთგული, კომპეტენტური, პროფესიულად მომზადებული ადამიანები.

დაე, იზარდოს სახალხო განათლების ჭეჭილი, დაპურდეს, გახდეს ყანა და დაამშვენოს სამშობლოს კიდითი-კიდენი!

აღვზარდოთ ღირსეული მამულიშვილები, რომ ჩვენ შემდგომად მოძმესა ჩვენსა ერის დიდებისა და სიძლიერისათვის „სიძნელე გზისა გაუადვილდეს“.

მისი ქალობის იმედად

ამ ფოტოზე აღბეჭდილი ქალი ტვიშელი ციცო მიქაუტაძეა, ქალი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ბურჯად უდგას დღევანდელობას, გათავისებული აქვს ის სიძნელეები, რაც დღევანდელი საქართველოსთვისაა დამახასიათებელი და შრომობს, რათა თავისი აქტიური შრომით გამორჩეული წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში. შეიტყო რა ქართული აბრეშუმი საერთაშორისო ბაზარზე სავალუტო გაცვლის საგანი შეიძლება გახდესო, შონდომება არ დაიშურა და დამამზადებელ პუნქტს თავისი ხელით მოწეული 106 კილოგრამი ხარისხიანი აბრეშუმის პარკი მიჰყიდა.

სანაქებო ოჯახი აქვს ციცო მიქაუტაძეს, ერთგული მეუღლე, ორი ვაჟიშვილის დედაა. უფროსი ვაჟი გია მშობლიურ ტვიშის საშუალო სკოლაში, იქ, სადაც გაიზარდა, მათემატიკის მასწავლებელია, თემაზი კი ქუთაისში მუშაობს.

შემოდგომის სურნელი ტრიალებს მიქაუტაძეების დოვლათით სავსე კარ-მიდამოში. საუკეთესოდ მოვლილი ყანა და ზვარი უხვ მოსავალს პირდება მშრომელ ადამიანებს, რომლებიც გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის მოლოდინში არიან და იმედით შეჰყურებენ მომავალს. ციცოს და მის მეუღლეს ისმაილ მიქაუტაძეს საუკეთესო მოვლილი აქვთ აქამდე იჯარით აღებული ყანა და ზვარი, რომელიც მალე მათ განკარგულებაში იქნება, ასე, რომ შრომით მოპოვებული სიხარული და დოვლათი კიდევ უფრო იმრავლებს მათ ოჯახში.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ხელბარაქიანი და კალთამაღლიანი ქალები, ბურჯად რომ უდგანან დღევანდელ საქართველოს.

ზ. გზობავას ფოტო.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ახლანდელი საარჩევნო კამპანიის მოწყობისათვის მარტოოდენ მისი უშუალო ორგანიზატორების ძალებისა და ენერგიის მაქსიმალური დაძაბვა როდი კმარა. ეს არჩევნები პირველად ეწყობა მრავალპარტიულ საფუძველზე, შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით და პრინციპულად ახალ ამოცანებს უსახავს იმათ, ვინც უნდა უზრუნველყოს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი კამპანიის სათანადო დონეზე მოწყობა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 28 სექტემბერს გამართულ მორიგ სხდომაზე სწორედ ამიტომ მოიწვიეს მთელი რიგი რესპუბლიკური უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მომავალი არჩევნების მატერიალურ-ტექნიკურ და პროპაგანდისტულ უზრუნველყოფასთან. ბუნებრივია, საუბარი საგნობრივი, და რაც მთავარია, კონსტრუქციული იყო, მოიცავდა ფართო წრის პრობლემებს, ასე რომ აღელვებს ახლა წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზატორებსაც და მონაწილეებსაც.

ზემოთ ნათქვამს თუ განვაზოგადებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე სერიოზული პრობლემა გახლავთ ამ კამპანიის მოწყობის ვადა, რომელიც უკიდურესად არის შეკვეცილი არჩევნების ახალი კანონით. როგორც საქართველოს სსრ გამსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ედუარდ სიხარულიძემ თქვა, ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობა შეუძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება თითქმის 8 მილიონი ეგზემპლარი საარჩევნო ბიულეტენის მომავალ დაბეჭდვას. ამასთანავე, მათი ნახევარი დაბეჭდილი უნდა იყოს თეთრ ქაღალდზე საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატისათვის კენჭისყრისათვის, მეორე ნახევარი კი ცისფერ ქაღალდზე პარტიული სიით კენჭისყრისათვის. ამიტომ უაღრესად საჭიროა, ამ ბიულეტენების შესაბამისი ნიმუშები რაც შეიძლება სწრაფად მომზადდეს და გადაეცეს მბეჭდავებს.

დროის დეფიციტზე, იმაზე, რომ კანონის მოთხოვნები სამწუხაროდ ყოველთვის როდი ითვალისწინებენ საგამომცემლო ბაზის სპეციფიკას და დღევანდელ შესაძლებლობებს, ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორმა ვახტანგ ესვანჯიამ. ჩვენ დავალებული გვაქვს, აღნიშნა მან, დავბეჭდოთ პლაკატები დეპუტატობის კანდიდატთა ფოტოსურათებით, ბიოგრაფიებითა და წინასაარჩევნო პროგრამებით. მაგრამ აქ საქმეს ართულებს ის, რომ დღემდე არ მიგვიღია საჭირო მასალა. თუ უახლოეს დღეებში ვერ მივიღებთ ამ მასალებს, ორი ოფსეტური მანქანა, რომლებიც ისედაც მეტისმეტად გადატვირთულია, ვერ გაართმევს თავს ესოდენ მნიშვნელოვან დავალებას. განსაკუთრებით სწრაფად უნდა გვქონდეს ხელთ დეპუტატობის კანდიდატთა ფოტოსურათები კლიშეების დასამზადებლად. ყოველივეს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ათასობით პლაკატი იქნება დასაბეჭდი და ესოდენ მოკლე დროში ასეთი მოცულობის სამუშაოს გამომცემლობის კოლექტივი ვერ დაძლევს, შაბათსაც და კვირასაც რომ იმუშაოს. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადება სააგიტაციო პლაკატების შეკვეთის ნაწილი სხვა სტამბებზეც განაწილდეს.

საქართველოს სახმომარაგების თავმჯდომარემ ვილენ ალავიძემ და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მამია ჭუმბურიძემ სხდომას მოახსენეს, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება ქაღალდით სამრავლებელი ტექნიკით, საკანცელარიო საქონლით, სხვა მასალებით საარჩევნო კამპანიის უზრუნველყოფისათვის. აღინიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ყველა სიძნელის მიუხედავად, რომლებსაც აწყდება დღეს რესპუბლიკა, მაქსიმალურად ყველაფერი კეთდება, რათა ამ კამპანიამ ჩაიაროს ორგანიზებულად, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფილი იქნენ ყოველივე საჭიროთი.

საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა ორმა დამოუკიდებელმა დეპუტატობის კანდიდატმა, რომლებიც პერსონალურად წარმოადგინეს ამომრჩეველთა ჯგუფებმა. ამჟამად მიმდინარეობს მზადება პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისაგან დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის, ამომრჩეველთა სიების შედგენისათვის.

როგორც დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა შალვა გვარამაძემ თქვა, კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა პარტიული სია, რომელიც წარმოადგინა „დემოკრატიული საქართველოს საარჩევნო ბლოკმა, ამრიგად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციაში გატარებულთა შორის არის პარტიისა და საარჩევნო ბლოკის არჩევნების 14-ივე მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკების პარტიული სიები.

სხდომაზე განიხილეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემოსული განცხადებები და საჩივრები, იმსჯელეს არჩევნების ორგანიზაციასა და მოწყობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

(საქინფორმი).

ახლა მეორედ თიბავენ

ნაყოფიერი გამოდგა ქვედა ცაგერში შექმნილი საკვებმომპოვებელთა საიჯარო რგოლის საქმიანობა. რგოლის წევრებმა წლის დასაწყისში გააფორმეს საიჯარო ხელშეკრულება აეროპორტის ტერიტორიის დათიბვაზე და საქმეს შეუდგნენ. საიმედოდ დაცულ და მოვლილ სათიბში შემოვიდა თუ არა ბალახი, ოპერატიულად, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე დათიბეს, თივის დაპრესვა და გადმოზიდვაც არ დაგვიანებულა. ზამთრის მარაგს მათ მიერ დამზადებული 98 ტონა თივა შეემატა.

ამ დღეებში საკვებმომპოვებელთა მექანიზებული რგოლის წევრები—ოლეგ, როლანდ სალინაძეები, მალხაზ ლიპარტელიანი, თვით რგოლის ხელმძღვანელი აკაკი სალინაძე აეროპორტზე შემოსულ ბალახს მეორედ თიბავენ. უკვე დათიბული აქვთ 25 ტონა და მისი აღება-დაბინავება მიმდინარეობს.

ხელსაყრელი ამინდები ყოველგვარ პირობებს უქმნის საკვებმომპოვებლებს, რომ ზამთრისათვის პირუტყვს საკმაო რაოდენობის ხარისხიანი საკ[illegible] [illegible]რაგონ.

ჩვენი წარდგინება

საქართველოს მონარქისტული

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, ისევე, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა პოლიტიკური ძალები, ეძებდა და ეძებს იმ კონსტრუქციულ, ზნეობრივ გზას, რომელიც საქართველოს სამართლებრივად მიიყვანს სრულ დამოუკიდებლობამდე. სწორედ ამ კონსტრუქციული გზის ძებნად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მონარქისტული პარტიის ინიციატივით მრგვალი მაგიდის დაარსება. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობისას მონარქისტული პარტია დარწმუნდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მცდელობაა ლიბერალური გზით წაიყვანოს საქართველოს ეროვნული მოძრაობა, გაითამაშოს პოლიტიკური ფარული. ამასთან ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებებს უარი ეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე, რაც ანტიდემოკრატიულია და რეგისტრირებული პარტიებისათვის არასასურველ მოწინააღმდეგეთა უკანონო ხერხებით გზიდან ჩამოცილების გზაა. ამიტომ მონარქისტული პარტია გაიყო ორად. მრგვალ მაგიდაში დარჩენილ ნაწილს ეწოდა ტრადიციონალისტთა კავშირი, მონარქისტული კი გამოვიდა მრგვალი მაგიდიდან.

საქართველოს მონარქისტული პარტია აცხადებს, რომ მას არაფერი ესაქმება საქართველოს უზენაესი საბჭოს ფსევდოდემოკრატიულ არჩევნებთან და არ მონაწილეობს მასში.

საქართველოს მონარქიტული პარტია მიზნად ისახავს სრულიად საქართველოში ნაციონალისტური, მონოლითური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომელიც თავის რიგებში გააერთიანებდა ერის ტრადიციების აღდგენისათვის მებრძოლ, ჯანსაღ ძალას, იბრძოლებდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისა და კონსტიტუციური მონარქიის დამყარებისათვის.

პარტიის საბოლოო მიზანია ქართველ მეფეთა, ბაგრატიონთა გვარის კანონიერი წარმომადგენლის ტახტზე აყვანა, რომლის შემდეგაც მონარქისტული პარტიის ფუნქცია ამოიწურება და იგი თვითლიკვიდაციას გამოაცხადებს.

ვარაუდობენ, რომ საქართველოში მონარქიის აღდგენისა და პარტიის თვითლიკვიდაციის შემდეგ, მონარქისტული პარტიის ყოფილი წევრების ის ნაწილი,

მონარქისტული

რომლებიც მოისურვებენ პოლიტიკაში მოღვაწეობას შექმნიან კონსერვატიულ პარტიას. კონსერვატიული პარტია კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოებრივი მმართველობის დროს მონაწილეობას მიიღებს მრავალპარტიული პარლამენტის არჩევნებში.

პარტიის პროგრამა ორი ძირითადი ეტაპისაგან შედგება. პირველი—ეს არის საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, მეორე—სახელმწიფოებრივ წყობად კონსტიტუციური მონარქიის დამყარება.

მიუხედავად იმისა, რომ პარტია კენჭს არ იყრის უზენაესი საბჭოს არჩევნებში, მისთვის სრულებითაც არ არის სულერთი ვინ გაიმარჯვებს ოქტომბრის არჩევნებში, მას იმედი აქვს მომავალი პარლამენტი უფრო დემოკრატიული იქნება და მეტი საშუალება მიეცემა პროპაგანდა გაუწიოს კონსტიტუციური მონარქიის იდეებს. თუ მომავალი პარლამენტი იხელმძღვანელებს ერის ინტერესებით, თუ 1990 წლის 9 მარტის საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებას (ამ დადგენილებაში აღნიშნულია: „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აღასტურებს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკვნას და აღიარებს, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა კავშირში შეყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით") ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანს, საქართველოს მისცემს შესაბამის პოლიტიკურ სტატუსს, შეაჩერებს საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედებას, რაც საშუალებას მისცემს ქართველ ერს ჩაატაროს ანტისაბჭოური, ჭეშმარიტად დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები, რომლის დეპუტაციაც უფლებამოსილი იქნება საქართველოს

პარტია

სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადოს, მაშინ ოპოზიცია მისი მოკავშირე და ერთადერთი დასაყრდენი ძალა გახდება ქართველ ხალხთან ერთად. ამდენად რადიკალური ოპოზიცია აუცილებელია და რამდენადაც ძლიერი იქნება იგი, იმდენად მეტი სიკეთის გაკეთებას შეძლებს მომავალი პარლამენტი.

საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის თავმჯდომარეა თემურ ყორყოლიანი. იგი არ ყოფილა დისიდენტი, გარკვეული დროის მანძილზე მუშაობდა კომკავშირის აპარატში, სხვა სამუშაოებზე და აქედან გამომდინარე ემსახურებოდა საბჭოურ რეჟიმს, რის გამოც ზნეობრივად უმართებულოდ მიაჩნია მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი პარლამენტის მუშაობაში. ქართველი ერის კეთილდღეობისა და მისი პირადი ღირსების საქმედ მიაჩნია საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამყარება.

დიდი შენაძენი

გამოვიდა ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემის „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ V ტომი.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ეგიდით კიდევ ერთი დიდი ეროვნული საქმის ხორცშესხმა დაიწყო—როგორც რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში, ცაგერის წიგნის მაღაზიაში ხელმომწერლებს ურიგდებათ სამეცნიერო-საცნობარო ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემის—„საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მეხუთე ტომი (წინატომები ჯერ არ გამოსულა).

ტომი ეძღვნება გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის და ხაშურის რაიონების, ე. ი. ისტორიული შიდა ქართლის უმეტესი ნაწილის ძეგლებს.

აღნიშნული ნაშრომის მომზადებისა და გამოცემისათვის საქართველოში ოცი წელია მიმდინარეობს მიზანდასახული სამეცნიერო-კვლევითი და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა. აღწერილობის მომზადებისა და გამოცემის სამუშაოების კოორდინაცია დავალებული აქვს ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას, სადაც ჩამოყალიბებულია საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის საგანგებო რედაქცია. ხათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე მასალებს ამზადებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ამავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, აგრეთვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი.

რედაქცია ცდილობს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად აღწერილობაში შევიდეს აღნიშნული რეგიონის ტერიტორიაზე მოკვლეული ისტორიის, არქეოლოგიის, არქიტექტურის და მონუმენტური ხელოვნების ყველა ძეგლი, ე. ი. უძრავი კულტურული ღირებულებანი, რომლებიც დღესდღეობით აღრიცხული და დაცულია ან მომავალში აღირიცხება და დაიცავს სახელმწიფო.

როგორც წინასიტყვაობაშია ნაჩვენები, აღწერილობის გამოცემის, მოსამზადებელი სამუშაოების დაგეგმვისას დროისა და მოცულობის განსაზღვრისთვის ძეგლების რაოდენობა ყოველ არსებულ ადმინისტრაციულ რაიონში თავიდან ნავარაუდევი იყო საშუალოდ 100-120, გამონაკლისის შემთხვევაში—150 ერთეული. მაგრამ ძეგლების რაოდენობა (იგულისხმება არქიტექტურული ძეგლებიც) ორჯერ, სამჯერ, ზოგ რაიონში კი ხუთჯერ მეტიც აღმოჩნდა.

მიმდინარეობს ლეჩხუმის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერა-შესწავლა, რაც მალე დასრულდება და შევა აღნიშნულ სამეცნიერო-საცნობარო ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემაში.

ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის მიერ მომზადებული სამეცნიერო-საცნობარო ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემა დიდი შენაძენია ქართველი ხალხისათვის. ასეთი საჭირო ეროვნული საქმის დროულად და მთლიანად გასრულება კი, როგორც შენიშნავს რედაქცია წიგნის შესავალ სტატიაში, „ხელს შეუწყობს არა მარტო სამეცნიერო კვლევისა და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმის მომავალში სწორად დაგეგმვასა და წარმართვას, არამედ ჩვენი სულიერი კულტურის თვით საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ პროპაგანდის საშური საქმიანობის გაუმჯობესებას“.

მკითხველმა იცის ჩქუმში არსებული საიჯარო კოოპერატივის შესახებ. სოფლის კოოპერატივმა გახსნა მეღორეობის ფერმა. ფერმაში ესტონური ჯიშის დედა-ღორები შემოიყვანეს. ამ წლის ბოლოსთვის ფერმა უკვე ხორცის პირველ პარტიას დაამზადებს.

ფერმაში დასაქმებულია სოფლის მშრომელები, ეს ცოტას არ ნიშნავს. ამასთან მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ.

სურათზე: კოოპერატიული ფერმის შენობა.

ზ. გზობავას ფოტო

სოფელი, გლეხი ძარღვია მასაზრდოებელი

დღევანდელობაზე რომ დაფიქრდები, აღარაფერი გიკვირს: არც თანამდებობა, არც ტიტული და ხარისხი, არც სიმდიდრე, ერთადერთი საკვირველება ზნეობაა, კაცურ-კაცობა, დეფიციტად რომ ქცეულა და თითო-ოროლას თუ ამკობს. ღმერთმა გაგვიმრავლოს ეს თითო-ოროლა, გაგვიმრავლოს სოფლისა და ერისთვის თავდადებული, საქმის მკეთებელი ადამიანები.

ლეჩხუმური სიდარბაისლითა და პატიოსნებით გამორჩეულია სოფელი ოყურეში. უსახელოურს, სისხლივით წითელს, წვეთ-წვეთობით მოწეულს, სტუმარ-მოყვრისათვის ინახავს აქაური კაცი. მისი სიწმინდე, მიწისა და ვაზის სიყვარულის საუკუნეობრივი ტრადიცია, ხასიათიც, წვეთწვეთობით მოყონავს ამ კეთილშობილურ სითხეში.

ანზორ მუშკუდიანის ოჯახს პატივისცემით მოიხსენიებენ სოფელში. სიმართლე, გარჯა, აი რა ამშვენებს მის პიროვნებას.

სოფლის სასიკეთო გარჯაა საქმე, თორემ მარტო საკუთარ კარ-მიდამოში ბევრია დაფაცურებული. სოფელში გზა კეთდება, ახალი ვაზი გამოჰყავთ, ჭირია თუ ლხინი, ანზორი მოთავეა, როცა უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ჩამოყალიბდა, ანზორი და მისნაირი მეურნეები ფრთებშესხმული იყვნენ: მამა-პაპის ამ სათაყვანო ლერწს მოვაშენებთ, სოფელიც წელში გაიმართება და თუ გნებავთ რაიონიც, მაგრამ გულგრილობამ და უპასუხისმგებლობამ, კორუფციამ აქაც თავისი ქნა. 16 წელი გავიდა მეურნეობის არსებობიდან და უსახელოურის ჯიშის ვაზი არა თუ აღორძინდა, პირიქით, მიკროუბნებშიც რომ იყო, ისიც შემცირდა.

მილიონები გადაიყარა, რისთვის, ვისთვის? ახლაც რომ ვინმე ამოუდგებოდეს გვერდით, ისეთ სანერგეს გამართავს, მთელ რაიონს მოამარაგებს, მაგრამ უნდა კი ვისმეს? იოლი გზით ცხოვრებას მიეჩვია ხალხი...

თავად ანზორის ოჯახში ბარაქა და დოვლათია. მოჰყავთ ხილი, ყურძენი, აბრეშუმის ჭარკი, სამყოფზე მეტს მტერმოყვარეს უწილადებენ, სახელმწიფოს აბარებენ.

ახლა გლეხურ მეურნეობაზე გადადის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები. საბჭოთა მეურნეობაში რა ხდება? აღარც მეურნეობაა, აღარც გლეხური მეურნეობა. სოფელი თავის ჭკუაზეა მიშვებული, ადამიანებმა დაკარგეს პასუხისმგებლობა სინდისის წინაშე.

ისევ ანზორიმ და მისებრ ღვიძლმა უნდა უპატრონონ სოფელს, დაეთათბირონ ადამიანებს, შეაჯერონ აზრები, დროულად დაადგნენ სახვალიო სწორ გზა-სავალს, დღეს როცა ქარს გვიკაკუნებს საბაზრო ეკონომიკაც და ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობაც, ეკონომიკური პოტენციალის მთავარი ძარღვი სოფელია, სოფელი დედა, სოფელი იმედი, და სოფელი პარჩენალ-მასაზრდოებელი.

მ. ძნელაძე.

იმ ავბედითი წლების ექო

ეჭვარე ისტორია

დიდი ხანი არაა, რაც „დახურულ“ თემებად არ თვლიან 1918-1921 წლების თავისუფალ საქართველოს, არც 1937-იანი წლების რეპრესიებს, არც 1956 წელს სტალინის ძეგლის შემკობისათვის ახალგაზრდების ტყვიების ჯერით გამასპინძლებას. ისტორიის ბევრ ტკივილიან ფურცელს ახლა ეცლება მტვერი, ახლა გამოაქვთ მზის სინათლეზე ბევრი სამარცხვინო ფაქტი. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს ისეთი პატარა მხარე, როგორიც ლეჩხუმია. არც თუ ისე დიდი ხნის წარსული გვაშორებს იმ დროს, როცა უაზრო სისხლისღვრებს და საშინელ რეპრესიებს სიცოცხლით სავსე, ნიჭიერი ადამიანები შეეწირნენ, ვინ იცის როგორ გამოადგებოდნენ ისინი დღეს ამ პატარა კუთხეს. საკვალოა ისიც, რომ ბევრი მათგანის დაღუპვის შესახებ ოფიციალური დოკუმენტები ნაკლებადაა შემონახული, მხოლოდ იმ ავბედითი დროის მომსწრეთაგან თუ შეიტყობ მწარე ისტორიას. ცხოვრობენ ცაგერში ისეთი ადამიანები, რომელთაც ახსოვთ ბევრი რამ. ერთ-ერთი მათგანია გიორგი (ჭოჭია) ექვთიმეს ძე ახვლედიანი. იგი 1900 წელსაა დაბადებული. მამა—ექვთიმე ახვლედიანი მაზრის უფროსის მოადგილე იყო 1917-21 წლებში, შემდეგ ცაგერის რაიონის ერობის თავმჯდომარედ დაინიშნა. „უშრომელი შემოსავლისათვის“ მისი გაკულაკება მოახდინეს, სახლში ჯერ პარტკომი შეუსახლეს, შემდეგ კი ჯარის ნაწილები.

თვითონ გიორგი ახვლედიანს ცხოვრების მეტად საინტერესო გზა აქვს გავლილი.

1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტთან არსებული ფარმაცევტული კურსები და წლების განმავლობაში მუშაობდა ცაგერის, ზუბის, ქალაქ ქუთაისის, ლენტეხის რაიონის სოფელ ჩოლურის აფთიაქებში, იყო ლენტეხის რაიაფთიაქის გამგე. შემდეგ კი გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. აქვს შესანიშნავი ოჯახი. შვილებიდან უფროსი, ზურაბი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია, მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კათედრაზე, უმცროსი რეზო კი ინჟინერია. გიორგი ახლა 90 წლისაა, შესანიშნავი მოსაუბრეა და კარგადაც ახსოვს ბევრი რამ; ახსოვს თუ როგორ გამოცხადდა დამოუკიდებელი საქართველო, როგორ ვითარდებოდა შემდგომ მოვლენები, როგორ იზეიმეს 26 მაისი—დამოუკიდებლობის დღესასწაული, როგორ მოახდინა რუსეთმა ჩვენი დაპყრობა, რა ბრძოლები გადაიტანეს სამშობლოს დაცვისათვის მისმა ერთგულმა ჯარისკაცებმა.

—ბატონო გიორგი, რა გახსოვთ, მოყოლებული 1918 წლიდან, როცა საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, ვიდრე 1921 წლამდე?

—1918 წელს ახდა დიდი ხნის ნაოცნებარი და საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა, ეს საოცარი ფაქტი იყო, ბედნიერების, სიხარულის ცრემლით ტიროდა ხალხი. ყველგან უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობოდა ხალხი მომავლის იმედით სუნთქავდა. ეს იყო 1920 წელი. თბილისში თავი მოიყარეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა წარმომადგენლებმა. მთელი ფშავ-ხევსურეთი ჩამოვიდა, მოდიოდნენ ლომებივით ვაჟკაცები ჩოხებში გამოწყობილები, ცხენზე ამაყად ამხედრებულები შინდისფერ დროშებს მოაფრიალებდნენ, ხალხი მართლა გულით ხარობდა.

გიორგი ახვლედიანი 1921 წლის 20 იანვარს გაიწვიეს სახალხო ლაშქარში, რამდენიმე დღეში ბრძოლებიც დაიწყო, ფაქტიურად იგი მაშინვე ჩაება სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში. „ღამის 12 საათზე განგაში ატყდა. პოლკოვნიკმა გარდაფხაძემ გვითხრა—საქართველო განსაცდელშია, რუსები გვიტევენ, აბა ბიჭებო თქვენ იცით, როგორ ივაჟკაცებთ, არ დავთმოთ არცერთი გოჯი მიწა“. გამოცხადდა სასწრაფო მობილიზება, გამთენიისას დავტოვეთ ბანაკი, გადავედით კოჯორში, რუსები კალიასავით გვესეოდნენ, სასტიკი ბრძოლები გაიმართა, 4-5 დღე გავუძელით. მეექვსე დღეს დავიწყეთ უკანდახევა თბილისისაკენ. ვცდილობდით მტერი თბილისისათვის აგვეცილებინა, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა. გეზი მცხეთისაკენ ავიღეთ. აქ ჩატარდა კრება, სადაც სიტყვით გამოვიდა მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე. მან ქართველებს მცხეთიდან მტრის განდევნა მოუწოდა, მაგრამ იძულებული გავხდით მცხეთა მალე დაგვეტოვებია, ჩვენთან ძირითადად იბრძოდნენ იუნკერთა სკოლის ჯარისკაცები და სახალხო გვარდიელები, ხოლო ძველი ჯარისკაცები რუსებს ეხმარებოდნენ. უკანდახევით მცხეთიდან ქუთაისში ჩამოვედით. შემდეგ იძულებული გავხდით ბათუმიც დაგვეთმო. რუსები ფეხდაფეხ მოგვდევდნენ, ბათუმში მთავრობის დროებით გასვლა გამოცხადდა. მეორე დღეს მთავრობამ დატოვა ბათუმი. წასვლამდე ნოე ჟორდანია სიტყვით გამოვიდა ხალხის წინაშე. გამოემშვიდობა მათ. „ჩვენ მალე დავბრუნდებით, საქართველო გაიმარჯვებს,“ ეს იყო მისი ბოლო სიტყვები. ამის შემდეგ უმთავრობობა იყო საქართველოში ორი დღე. ამით ისარგებლა თურქეთმა და შემოგვიტია. გიორგი მაზნიშვილის ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდა ბათუმის გაწმენდა თურქთაგან. უამრავი ხალხი ჩაიხოცა მაშინ, რომ ვუფიქრდები, რას გავუძელით“.

—1937-იანი წლების რეპრესიების მსახვრალმა ხელმა არც ჩვენი რაიონი დატოვა ხელშეუხებელი, დამნაშავეებთან ერთად უამრავი უდანაშაულო შეეწირა მას. ამ წლებზე ოფიციალური მასალა ნაკლებადაა შემონახული, და თუ კი რაიმე დოკუმენტები არსებობს, საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომია ჯერჯერობით. რა გახსოვთ ამ წლების შესახებ და იმ პიროვნებებზე, რომლებიც მას შეეწირნენ?

ამ წლების გახსენება ახლაც საშინელ მოგონებებს აღმიძრავს. ეს სასწაული იყო, ადამიანს არ შეუძლია გადმოსცეს ის ჯოჯოხეთი, რაც მაშინ ტრიალებდა. დაშინებულ ხალხს ეშინოდა ერთმანეთთან შეხვედრის და ერთმანეთთან ლაპარაკებისაც კი. უკვე „გასაღებულთა“ ოჯახის წევრებთან ლაპარაკის სურვილი ვიღას ექნებოდა. ბევრი უდანაშაულო შეეწირა მაშინ დაბეზღებების ავ საქმეს, მაგალითად, თომა ხმელიძე ცხენების გაქირავების საბაბით დააპატიმრეს, მაშინ და აპატიმრეს სამსონ, ამბაკო ბრეგვაძეები, კაპიტონ ყურაშვილი, არსენ ფირცხალავა, ჭეაჭვალა მახარობლიძე, გიორგი ჭოხონელიძე, გიორგი სვანიძე, ბეგია გუგავა, და ვინ იცის კიდევ რამდენი. ვის ჰქონდა ხუმრობის ხასიათი, თორემ იმ ხანად ასეთი ანეგდოტიც კი დადიოდა: „ღამით სახლში რომ დაიძინებ, დილით საპატიმროში გაგეღვიძებაო“. ყველა ამ ბინძურ საქმეს „ჩეკა“ ხელმძღვანელობდა და აკეთებდა.

კიდევ ბევრი რამ ახსოვს ბატონ გიორგის, მისი მოგონებები რომ შეიკრიბოს, ალბათ, მთელი წიგნი დაიწერება, მაგრამ მთავარი ეს კი არაა, მთავარია, რომ არიან ადამიანები, რომელთაც ახსოვთ ეს საშინელი წლები და ისინი, ვინც მას უსამართლოდ შეეწირენ.

მ. მახაროგლიძე.

მინაწერი: იმედია ამ წერილის წაკითხვისას ჩვენს მკითხველს გაუჩნდება იმის სურვილი გაიხსენოს ისეთი ადამიანები, რომლებიც უსამართლოდ შეეწირენ იმ ავბედით წლებს და რომელთა შესახებაც ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. მოგვწერეთ, შეგვეხმიანეთ, რომ მკითხველმაც გაიცნოს ისინი, იცოდეს სიმართლე მაშინდელ საქართველოზე და მის ნამდვილ შვილებზე.

წერილები „ლეჩხუმს“

ჩვენს გაზეთს როგორ არ გამოვიწერ

ბოგოძარია ცხოვრება, დაძაბული, ყოველი დღე დატვირთულია არასასიამოვნო ამბებით. ქართულ პრესას მოეძალა გულისამრევი წერილები. ასეთი ჩხუბით, ლანძღვით, დაქსაქსულობით და ქიშპით საქართველო ვერ მოიპოვებს დამოუკიდებლობას. ყველამ ყური მივუგდოთ აკაკი ბაქრაძის ამასწინანდელ გამოსვლას პრესაში სათაურით „ისტორიამ გამეორება იცის“, ბევრისმთქმელია ეს სიტყვები.

ამას წინათ ტელევიზიით გადაიცა სერიალები ლეჩხუმზე, მის ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. კარგია, რომ ჩვენი კუთხით დაინტერესდა ტელევიზია, მაგრამ მე პირადად გული მეტკინა ბევრ მომენტზე, და რატომ: ლეჩხუმს მართლაც უჭირს, აქვს უამრავი პრობლემა და დახმარებაც გვჭირდება, მაგრამ გადაცემებში დახმარება და თანადგომა კი არ იგრძნობა ამ კუთხისადმი, არამედ ცინიზმამდე დასული შეცოდება. გარეშე პირს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, ამაზე საცოდავი და დაბეზღებული ხალხი დედამიწის ზურგზე სხვაგან არ იყოს. თავად ბევრი ლეჩხუმელიც ზურგს შეაქცევს თავის კუთხეს, თორემ აქ დამკვიდრებისა და ცხოვრების სურვილი ვინმეს როგორ გაუჩნდება.

ლეჩხუმში არის შესანიშნავი, შეიძლება ითქვას, სხვა რეგიონზე უკეთესი ბუნებრივი პირობები ცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის. ყველა უნდა გავისარჯოთ, რომ კიდევ უფრო უკეთესი გარემო შევქმნათ—აი, ჩემის აზრით, ტელევიზიის ასეთი პოზიცია იქნებოდა უპრიანი.

და რაც მთავარია, ჩემი აზრი დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობაზე: ყველაფერი ისე უსაშველოდ გაძვირდა, რომ არსებობა გვიჭირს ხელფასზე მომუშავე ადამიანებს. რა უნდა ვქნათ, ახლა პრესაც გააძვირა მთავრობამ. ეს იმის ნიშანია, რომ რაც შეიძლება მეტი ამოიღოს ხალხისგან, რომელიც სულიერ საზრდოს ვერ დათმობს.

პირველ რიგში მიმაჩნია, არამც და არამც არაა საჭირო დღეს გამომავალი ასე დიდი რაოდენობის ჟურნალ-გაზეთები. რა ქაღალდი, რა პოლიგრაფიული ბაზა აუდის ყოველივეს.

რაც შეეხება რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმს“, ჩემს ოჯახში იგი პირველი გაზეთია, რომელიც გვიყვარს და პატივს ვცემთ, შევიტყობთ რაიონის სიახლეებს, აუცილებელ ინფორმაციას.

მე შენს გვერდით ვარ, მშობლიურო „ლეჩხუმო“, დიდხანს გეტარებინოს ლეჩხუმელი ხალხის სულიერი მოძღვარის საპატიო სახელი.

საშა ჩაკვეტაძე,

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

ᲐᲣᲢᲐᲜᲔᲚ ᲡᲘᲒᲘᲜᲫᲣᲠᲔᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲗ

ძვირფასო რედაქცია! იძულებული ვართ თქვენ მოგმართოთ:

დიდი ხანია ქალაქის სამსართულიანი შენობის უკან ეზოში კომუნალურ საწარმოთა კომბინატს აქვს პირუტყვის სამწყვდევი (ჩვენებურად ე. წ. საჩხე). იქ ქალაქის „მოურჯულებელი“ მოსახლეობის კუთვნილ დაჭერილ პირუტყვს ამწყვდევენ. პირუტყვი ისე აბინძურებს ყველაფერს, რომ, ნამდვილად არ ვაჭარბობთ, მეორე სართულზე მუშობა გვიჭირს სახდაზღვევის ცაგერის ინსპექციის თანამშრომლებს.

არაერთხელ შევჩივლეთ ჩვენი გასაჭირი კომგანის ხელმძღვანელობას. ვთხოვეთ, ასეთ პირობებში მუშაობა არ შეგვიძლია და გადაიტანეთ სადგომი სხვაგანთქო, მაგრამ არაფერი. ჩვენ გვესმის მათი პრობლემებიც, გასაჭირიც, ზოგიერთი ჩვენი ვაიქალაქელისაგან თავი რომ აქვთ მოძულებული, მაგრამ სხვის მაგიერ რატომ უნდა დავისაჯოთ, ასეთ აუტანელ სუნსა და ბუზების ორომტრიალში, რომლებიც პირდაპირ სამუშაო ოთახში შემოდიან, როგორ უნდა გავძლოთ მთელი დღეები?

პირუტყვის სამწყვდევი დაუყოვნებლივ უნდა გადაიტანონ ქალაქის განაპირა ადგილას, მით უფრო, იგი მარტო ჩვენ კი არა, მეზობელ ორგანიზაციებს, მოსახლეობასაც აწუხებს, ქალაქის ცენტრსაც აბინძურებს.

ცაგერის სახდაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები.

გმადლობთ, ექიმო!

ზაფხულში ჩვენი 5 წლის ბავშვი სტუმრად ბებიასთან იმყოფებოდა, მოულოდნელად გაგვიხდა ავად. 6 აგვისტოს მძიმე ავადმყოფი. სიცხიანი რაიონულ საავადმყოფოში ნარგიზა ექიმთან მივიყვანეთ.

ბავშვს თავის ტკივილები, პირღებინება ჰქონდა. განძრევა არ შეიძლებოდა. ერთი ღამის განმავლობაში ნარგიზა ექიმის უშუალო მონაწილეობით ჩაუტარდა პირველადი მკურნალობა. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გამოვიდა ჩვენი პატარა კრიზისული მდგომარეობიდან.

ექიმისავე რჩევით სამედიცინო ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის ბავშვი გადავიყვანეთ თბილისში და შემდეგ ქუთაისში, გამოკვლევებმა დაადასტურა ნარგიზა ექიმის მიერ დასმული დიაგნოზი—მოწამვლა მძიმე ფორმით.

მკურნალობა შემდეგშიც კარგად წარიმართა. მადლობელი ვართ ნარგიზა ჭაბუკიანის. მისმა მზრუნველობამ, ყურადღებამ და რაც მთავარია, მაღალმა პროფესიონალიზმმა ჩვენს პატარას სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეუნარჩუნა.

მზია და გენადი მუშკუდიანები.

სოფ. ლასურიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა პურითა ერთითა

წიგნის მოყვარულთა ნებაყოფლობით საზოგადოებაში ოცნებობენ კვლავ დაუბრუნდნენ საოჯახო კითხვების რიტუალებს, გაუბედავ ნაბიჯებს დგამენ, რათა იგი შეასწავლონ მასობრივ მკითხველს. ჯერჯერობით წარმატება, არცთუ დიდია, მაგრამ ცდას კვლავაც არ აკლებენ.

საბჭოთა კავშირის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცა „გატაცებათა სამყაროს" სერიის გამოშვების გეგმა. სერიაში შევა ოცდაათი წიგნი, რომელთა გამოშვებაც დაგეგმილია 1991-1995 წლებში. მათი ტირაჟი მასობრივი იქნება—არანაკლებ 500 ათასი ეგზემპლარი თითოეული.

„აგროპრომიზდატი" მკითხველებს შესთავაზებს მეყვავილეობის, მეფუტკრეობის, ბუნებასა და სახლში ფრინველების ცხოვრების აღწერის თავისებურ „ანბანს". კერვისა და წვნის თავისებურ ანბანს გამოუშვებს „მსუბუქმრეწველობა", სოკოს მოყვარულთა „თანამგზავრს"—გამომცემლობა „სატყეო მრეწველობა", იგი ხელოსნობის მოყვარულებს შეაიარაღებს აგრეთვე სახელმძღვანელოებით სახლში ხეზეკვეთილობისა და მეკასრეობის ოსტატობის საიდუმლოებათა შესახებ. აგევე მოქმედებს „მშენგამი", რომელმაც დაგეგმა გამოცემა შინაოსტატის ენციკლოპედიისა და სახელმძღვანელოსი „ჩვენ სახლს ვაშენებთ".

სხვადასხვა პოზიციიდან ჩვენი სახლის შესახებ—მაგალითად, როგორ გავაწყოთ იგი ელექტრონობით, რა წამლები ვიქონიოთ სახლში, როგორ მოვაწყოთ ეზო —მოგვიყვებიან სხვა წიგნები. ამ ლიტერატურის კითხვამ შეიძლება მთელ ოჯახს მოუყაროს თავი ერთ მაგიდასთან.

ლიტერატურას თემაზე „ეკონომიკა ოჯახში" გამოუშვებს გამომცემლობა „ფინანსები და სტატისტიკა". მხარს უბამს რა დროის მოთხოვნებს, გამომცემლობა „რადიო და კავშირგაბმულობა" ამზადებს წიგნს—„კომპიუტერი სახლში". ბავშვების სწორ აღზრდაში დაგვეხმარებიან „მედიცინა" და პედაგოგიკა", რომელთაც დაგეგმილი აქვთ მოამზადონ ტომები „დედა და შვილი" და ა. შ.

ეს გამოცემები არა ხელმოწერით, არამედ საერთო წესით გავრცელდება. საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთ წიგნს ჯერ პირობითი სახელწოდება აქვს, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს. მის მონახვაში დაგვეხმარება სერია „გატაცებათა სამყარო".

ლ. ერმაკოვი,
საკდესის კორ.

ეს საინტერესოა

კიბოს თავიდან აგვაცილებს

ტოკიო. ახალი ბოსტნეული თავიდან აგვაცილებს კიბოვან დაავადებებს—ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იაპონელი მკვლევარები, რომლებმაც ბოსტნეულში აღმოაჩინეს ორი სუბსტანცია, რომლებიც ხელს უშლიან კიბოს განვითარებას. აკიტას უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეცნიერებმა დოქტორ სიგეტოსი კამიიამას ხელმძღვანელობით აღმოაჩინეს ფენოლისა და ქინონის გარკვეული ტიპები, რომლებიც ბლოკადაში აქცევენ კიბოვანი უჯრედების მეტაბოლიზმებს. ქინონი ათხევადებს კარცინოგენებს, რაც საშუალებას აძლევს ორგანიზმს იგი სითხის სახით გამოყოს, ფენოლი ბლოკადაში აქცევს კიბოს განვითარებას.

ეს ნივთიერებები, განაცხადა მკვლევართა ჯგუფის წარმომადგენელმა ოსამუ მიტიოკამ, ეფექტიანია 35-36 საათის განმავლობაში, რადგანაც ისინი იშლებიან სითბოს ზეგავლენით, კიბოს თავიდან აცილების მიზნით უკეთესია თუ ბოსტნეულს ყოველდღიურად ახალმოკრეფილს მივიღებთ.

ახალი ნივთიერება

ლაკინსკი (ვლადიმირის ოლქი). ახალი ლიმონათი, რომლის ჩამოსხმასაც ლაკინსკის საწარმო შეუდგა თავისი გემოთი ჩვეულებრივისაგან თითქმის არ განსხვავდება. ეს ნიშნავს, რომ ამიერიდან ადგილობრივ სასმელებში და ლიმონათებში შაქრის ნაცვლად გამოიყენებენ ახალ ნივთიერებას — ნუტრასვიტს—ამავე სახელწოდების ამერიკული ფირმის პროდუქტს.

საქმე ის არის რომ, ნუტრასვიტი შედგება ისეთივე ცილოვანი კომპონენტებისაგან, როგორსაც შეიცავს რძე, ხორცი, ხილი და ბოსტნეული. ადამიანები, რომლებიც დაავადებული არიან სიმსუქნით, დიაბეტით, თირკმლებით, თუ ასეთ კომპონენტიან სასმელებს დალევენ, ამით არა მარტო წყურვილს მოიკლავენ ცხელ ზაფხულში, არამედ ერთდროულად იმკურნალებენ კიდეც.

ერთი კილოგრამი დასატკბობი ორას კილოგრამ შაქარს ცვლის,—ამბობს ლაკინსკის საწარმოს დირექტორი ნ. კრასნოიაროვი. ერთ-ერთი პირველი ხელშეკრულება თანამშრომლობისათვის ჩვენ დავდეთ ფირმასთან, რომელიც უკვე მრავალი წელია წარმატებით მუშაობს მსოფლიოს 90 ქვეყანაში. განსაკუთრებულ გემოს იძენს აგრეთვე ლაკინსკური ლუდი, რომელსაც ახალი დასატკბობი საშუალებით ამზადებენ.

(საკდესი)

ნახეთ ცაგერის კინოთეატრში

„მრისხანება"

საქართველო - ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი საწარმოო გაერთიანება „ამსაქფილმი" 4 და 5 ოქტომბერს ქალაქის კინოთეატრის ეკრანზე აჩვენებს კინორეჟისორ ენტონი დიუსონის მწვავესიუჟეტიან ფილმს „მრისხანება". ფილმში, რომელიც პირველად ტარდება საქართველოში, მთავარ როლს ასრულებს გამოჩენილი ამერიკელი მსახიობი იულ ბრინერი. იგი მაყურებლისთვის ცნობილია ამერიკული ფილმიდან „შესანიშნავი შვიდეული". იულ ბრინერმა ამ ფილმში კრისის როლი შეასრულა.

მაშ ასე, 4 და 5 ოქტომბერს ქალაქის კინოთეატრში პრემიერაა. სეანსები დაიწყება 2, 4, 6 და 8 საათებზე. ბილეთების ფასი კვლავ გაერთიანების მიერაა დაწესებული და იგი 2 მანეთი ღირს.

ბ. ხეცურიანი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

გილოცავთ

მაია ნოდარის ასულ თაგვაძეს
ალეკო ჯანიკოს ძე ფოჩიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ჯანმრთელი, ქართველი ერის საამაყო მამულიშვილი.

ალვის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

აზა და გიგა ჭაბუკიანებს

გილოცავთ შვილის ბედნიერებას. კვლავაც მრავალი სიხარული მოგველოცოს.

ცაგერის დამზადების გაერთიანების თანამშრომლები.

გოჩა თამაზის ძე სვანიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს. სულ წარმატებებით გევლოთ ცხოვრებაში.

ლელა სილაგაძე, ვალიდა ბენდელიანი
ბელა გოლეთიანი, ნატო მუშკუდიანი.

ნორა ალექსანდრეს ასულ გურჯალიანს

ბებო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

მზისა და გაბო გვიშიანები.

ნოდარ ნესტორის ძე მესხაძეს

გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

დავით, ეთერ, სოსო, თენგიზ, მანანა, ნელი, ნინო, დათო, სოსო, ჯაბა ქარსელაძეები, ლონდა, ნუგზარ, ეკა ტაბატაძეები.

დედა შურა, მეუღლე ლია, შვილი რომიკო, დები ლენა, მთვარისა, ნორა, ნანული, სიძეები ბიტუ მეშველიანი, ასკალო მურცხვალაძე, ავთო თუთისანი, საშა ვარდანიძე, სიმამრი სამსონი, სიდედრი ანეტა, ცოლისძმა ანზორ გუგავა, რძალი ნათელა ლომთაძე, ცოლისდა მათიკო გუგავა, დისშვილები მირიან, ნონა, ნანა მეშველიანები, გოჩა, მანანა, მაკა მურცხვალაძეები, ეკა თუთისანი, თემურ, ნინო ვარდანიძეები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

დაკრძალვა 7 ოქტომბერს, კვირას, ქ. ცაგერში.

ტარიელ გუგავა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რეზო, ზაურ ყურაშვილები, სულიკო კუხალაშვილი, გურამ თუთისანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

მეუღლე მარო, შვილები ჯარჯო, ედემი, ლეილა, იზოლდა, რძლები იზოლდა, ლალი, სიძეები იუზა თორთლაძე, რომან სილაგაძე, გია მიქაუტაძე, ცოლისდა აგრაფინა, შვილიშვილები მამუკა, კობა, მზია, ინგა, ირმა, მაკა, შვილთაშვილები ზურიკო, ჯონი, ბექა, გოგა, დისშვილები, ბიძაშვილები, ცოლისდისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გერონტი ალექსის ძე ჩხეტიანი

დაკრძალვა 6 ოქტომბერს, შაბათს, სოფ. ნასპერში.

დეიდები გლაშა, ნანა, ანეტა, მერი, თალიკო, სულიკო ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დალი დავითის ასული გოლოძე-ჭაფარიძე.

ბიჭიკო გუგავა, ქორა, ჯემალ ხეცურიანები, ბიჭიკო მურცხვალაძე, ციალა დოლბაია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

შალვა, ჯუმბერ, ნოდარ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ტვიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ალმარდი გაბიძაშვილს მამის

ისმაილ გაბიძაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლალიკო მინდაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოლეგ ჩხეტიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გერონტი ალექსის ძე ჩხეტიანი

ენთაზ ირემაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

გერონტი ალექსის ძე ჩხეტიანი.

ბიძაშვილები რაჟდენ, ქორა, რეზო, თამარ, ნაზი მანდარიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

ჯუმბერ, ბუღდან, ჯონდო, ნუცა ჭელიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ალექსის ძე ჭელიძე

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-28, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.